ბიბლიოგრაფიის გაფორმება

ციტირება და ბიბლიოგრაფია გაფორმებული უნდა იყოს APA-ს სტილის მიხედვით. ავტორებმა უნდა გამოიყენონ Microsoft Word-ის ბიბლიოგრაფიის მართვის ან ბიბლიოგრაფიის მენეჯმენტის პროგრამები (მაგ. Zotero, RefMan, Endnote, JabRef). ბიბლიოგრაფია უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან. არ უნდა მიეთითოს გამოუქვეყნებელი ნაშრომები (დაცული დისერტაციების გარდა). მიაქციეთ ყურადღება, როდის ხდება იტალიკის (დახრილი შრიფტის) გამოყენება.

სახელმძღვანელოდ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული სტანდარტი და ნიმუშები (ბულეტები გამოყენებულია ჩვენ მიერ კატეგორიების გამოსაყოფად, სტატიაში ბიბლიოგრაფიის ჩამონათვალს არ სჭირდება):

- წიგნი ორი ან მეტი ავტორით:
  ავტორის გვარი, სახელის ინიციალი, & დანარჩენი ავტორების გვარები და სახელის ინიციალები. (გამოქვეყნების წელი). *სათაური.* გამოქვეყნების ადგილი: გამომცემლობა.

  Frank, R. H., & Bernanke, B. (2007). *Principles of macro-economics* (3rd ed.). Boston, MA: McGraw-Hill/Irwin

- წიგნი ერთი ავტორით:
  ავტორის გვარი, სახელის ინიციალი. (გამოქვეყნების წელი). *სათაური.* გამოქვეყნების ადგილი: გამომცემლობა.

  Shotton, M. A. (1989). *Computer addiction? A study of computer dependency*. London, England: Taylor & Francis

- წიგნის თავი ან სტატია, რომელიც გამოქვეყნებულია წიგნში:
  წიგნის თავის ან სტატიის ავტორის გვარი, სახელის ინიციალი & დანარჩენი ავტორების გვარები და სახელის ინიციალები. (გამოქვეყნების წელი). წიგნის თავის/სტატიის სათაური. წიგნის პირველი რედაქტორის სახელის ინიციალი და გვარი & წიგნის მეორე რედაქტორის სახელის ინიციალი და გვარი (Eds.), *წიგნის სათაური* (წიგნის გვერდები). გამოქვეყნების ადგილი: გამომცემლობა.

  Haybron, D. M. (2008). Philosophy and the science of subjective well-being. In M. Eid & R. J. Larsen (Eds.), *The science of subjective well-being* (pp. 17-43). New York, NY: Guilford Press.

- სტატია ჟურნალიდან:
  ავტორის გვარი, სახელის ინიციალი, & დანარჩენი ავტორების გვარები და სახელის ინიციალები. (გამოქვეყნების წელი). სტატიის სათაური. *ჟურნალის სახელი, ტომის ნომერი,* გვერდები

  Light, M. A., & Light, I. H. (2008). The geographic expansion of Mexican immigration in the United States and its implications for local law enforcement. *Law Enforcement Executive Forum Journal, 8*(1), 73-82

- ზოგადი ანგარიშის ფორმატი:
  ავტორის გვარი, სახელის ინიციალი, & დანარჩენი ავტორების გვარები და სახელის ინიციალები. (გამოქვეყნების წელი). *სათაური.* (Number Assigned to the Report). გამოქვეყნების ადგილი: გამომცემლობა, დეპარტამენტი ან ინსტიტუტი.

  Deming, D., & Dynarski, S. (2008). *The lengthening of childhood* (NBER Working Paper 14124). Cambridge, MA: National Bureau of Economic Research.

- ელექტრონული ჟურნალის სტატია:
  ავტორის გვარი, სახელის ინიციალი, დანარჩენი ავტორების გვარები და სახელის ინიციალები. (წელი). სტატიის სათაური. *ჟურნალის სახელი, ტომის ნომერი,* გვერდები. მოძიებული: საიტის მისამართი

  Wheeler, D. P., & Bragin, M. (2007). Bringing it all back home: Social work and the challenge of returning veterans. *Health and Social Work, 32*, 297-300. Retrieved from http://www.naswpressonline.org

- მასალა ინტერნეტიდან:
  ავტორის გვარი, სახელის ინიციალი, დანარჩენი ავტორების გვარები და სახელის ინიციალები. (ინტერნეტში გამოქვეყნების თარიღი). *სათაური.* მოძიების თვე, დღე, წელი: საიტის მისამართი

  Bloomberg L.P. (2008). *Return on capital for Hewitt Packard 12/31/90 to 09/30/08*. Retrieved December 3, 2008 from http://news.ninemsn.com.au/health/story_13178.asp